ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**g-41. 4124247001**
თარიღი:**03/09/2024**

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8, მე-9 ნაწილების და ,,საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №27/08/02 განკარგულების შესაბამისად, 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნების გამჭირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით გამოყოფილ იქნეს ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩის №237–ში მდებარე შენობა-ნაგებობა (ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე–ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობა).

4. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე:

ა) სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას;

ბ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა).

5. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

6. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას.

7. დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

8. ეს განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

ბ) გამოიკრას სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს ვებგვერდზე: www.senaki.gov.ge.

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი